



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მოამბარი
საშუალო
№11 (459)
(5780)
2019

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

რვა მილიონი შეკელი დიასპორის დაცვისათვის



„მენორას“ მკითხველი ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაძლიერდა ანტისემიტური აქტები, რომელიც არც თუ იშვიათად, მსხვერპლით მთავრდება. ამგვარმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრის — ბენიამინ ნეთანიაჰუს განკარგულებით, იერუსალიმისა და დიასპორის სამინისტრომ გამოჰყო ოთხი მილიონი შეკელი მსოფლიოს

სხვადასხვა ქვეყანაში ებრაული ობიექტების დასაცავად.

ამავე მიზნით ასევე ოთხ მილიონ შეკელს გამოჰყოფს მსოფლიოს ებრაული სააგენტო.

ა ლ ი ა — 2 0 1 9

ისრაელის ალიისა და აბსორბციის სამინისტრო ალიის დღესთან დაკავშირებით აქვეყნებს მონაცემებს იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს დიასპორის ქვეყნებში მცხოვრები ებრაელების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პროცესი: 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში ისრაელში ჩავიდა 28 629 რეპატრიანტი (ათი წლის წინათ 2009 წელს ისრაელში დაბრუნდა 17 169 ებრაელი). ეს ციფრი აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს: გასული, მთელი 2018 წლის განმავლობაში ისრაელში ჩავიდა 30 380 რეპატრიანტი, გაზეთი „ისრაელ ჰა იომ“ იუწყება, რომ ალიისა და აბსორბციის სამინისტროში წლის ბოლომდე რეპატრიანტთა უფრო მეტ ზრდას ელოდებიან.

წელს ყველაზე მეტი რეპატრიანტი რუსეთიდან ჩავიდა — 12 722 ადამიანი, უკრაინიდან — 5 247, აშშ-დან — 2 470, საფრანგეთიდან — 1 996, ბრაზილიიდან — 552, თურქეთიდან — 143, მექსიკიდან — 127, ვენესუელაიდან — 93, ტაილანდიდან — 14, იაპონიიდან — 5.

მიმდინარე წელს ებრაელები ისრაელში აზიის მუსლიმური ქვეყნებიდანაც ჩავიდნენ.

ანგელა მერკელი: გერმანიაში ებრაელთა ყოფას მხარდაჭერა და დაცვა სჭირდება

ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა, რომ მსოფლიოს ებრაულმა კონგრესმა გადაწყვიტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ანგელა მერკელი ამ კონგრესის მიერ დაწესებული სიონიზმის ფუძემდებლის — თეოდორ ჰერცლის სახ.პრემიით დააჯილდოოს. ამ პრემიას ანიჭებენ იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც მხარს უჭერენ თეოდორ ჰერცლის იდეებს, ცდილობენ ებრაელი ერისათვის სამყარო იყოს ტოლერანტული და უსაფრთხო.

27 ოქტომბერს გერმანიაში, ქ. მიუნხენის ებრაელთა სათემო ცენტრში გაიმართა პრემიის გადაცემის ცერემონია. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა როლანდ ლაუდერმა ქ-ნ ანგელა მერკელს გადასცა თეოდორ ჰერცლის პრემია.

ანგელა მერკელმა რონალდ ლაუდერს გულწრფელი მადლობა მოახსენა იმის გამო, რომ ამ პრემიის ღირსად სცნეს — ესოდენ მნიშვნელოვანი — თეოდორ ჰერცლის პრემიით დააჯილდოეს, გაიხსენა იომ ქიფურში — განკითხვის დღეს ქ.პალესტინაში სინაგოგაზე თავდასხმა:

— ეს იყო საძაგელი ბოროტმოქმედება, რომელიც ჩვენ დიდ სირცხვილს გვგვრის. ეს ერთობ შემაშფოთებელი ფაქტია. ეს აქტი მიმართული გახლდათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების — ებრაელების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ებრაელების წინაშე ჩადენილი დანაშაული — ტერორისტული აქტი, ისინი თავს დაესხნენ ყოველ ჩვენგანს — ებრაელებსაც და არაებრაელებსაც. ჩვენ არასოდეს არ უნდა შევურიგდეთ იმ ფაქტს, რომ გერმანიაში მცხოვრები ადამიანები განიცდიდნენ შიშს თავთავიანთი რელიგიური მრწამსის გამო, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მათ თავისუფლად, უშიშრად იცხოვრონ. ანტისემიტიზმი და რასიზმი ძალადობრივი აქტებით არ იწყება — იწყება სიტყვებით, მონოდებებით. მას ღრმა ფესვები აქვს. ჩვენ მაშინ კი არ უნდა გავიღვიძოთ, როცა სიტყვა საქმედ იქცევა, უფრო ადრე.

შემდეგ კანცლერმა ანგელა მერკელმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ სიძულვილისაკენ მოწოდება არა მხოლოდ ქუჩებში გაისმის, ინტერნეტითაც ვრცელდება.



პრემიის გადაცემისას მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა რონალდ ლაუდერმა ხაზი გაუსვა იმ პროგრესს, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში საკუთარი თავის პოვნისა და ბნელი წარსულის აღმოფხვრაში მიაღწია:

— კანცლერო მერკელ, თქვენ ამ დაუჯერებელი წარმატების ხატი ბრძანდებით, თქვენ ხართ სიმბოლო ყველა სიკეთისა, რაც ომის შემდგომი წლების გერმანიაში ხდებოდა და ხდება. თქვენ ხართ დემოკრატიის მცველი და დარაჯი ცივილიზაციისა, თქვენ ყოველთვის მხარს უჭერდით გერმანიის ებრაულ თემს, ყოველთვის ისრაელის მხარეს იყავით, თქვენ — გერმანელი ლიდერი — ხართ დასაყრდენი ყოველი ადამიანისა, დასაყრდენი არასტაბილურობასთან, ირაციონალიზმთან, ექსტრემიზმთან, სიძულვილთან, რასიზმთან ბრძოლაში. თქვენ ხართ დასაყრდენი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გერმანიის კანცლერს შეხვდა და ისაუბრა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილშვილი.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა თეოდორ ჰერცლის მედლით დააჯილდოვა აგრეთვე აშშ ყოფილი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიკი ჰეილი. ნიუ-იორკში მედლის გადაცემის ცერემონიაზე კონგრესის პრეზიდენტმა როლანდ ლაუდერმა ნიკი ჰეილის „ჩვენი დროის ყველაზე უშიშარი ქალი“ უწოდა.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდზე WWW.MENORA.GE

„ხსოვნის სანთელი“

— აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ისრაელში პატივს მიაგებენ ნათელი არმიის მებრძოლთა ხსოვნას. ისრაელი იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა შორისაა, რომელშიც საბჭოთა არმიის მებრძოლთა ძეგლებს არა მხოლოდ არ ანგრევენ, ამრავლებენ — ასეთი ძეგლები დღითიდღე მეტი და მეტი ხდება — „იზვესტიის“ კორესპოდენტთან საუბარში განაცხადა რუსეთის ფედერაციის ელჩმა ისრაელში ანატოლი ვიქტოროვმა.

შემაშფოთებელი სამშაბათი სამშაბათს 12 ნოემბერს დილაადრიან საჰაერო განგაშის სირენის ხმა გაისმა. ისრაელის არმიამ ღამით დაიწყო სექტორში ნერტილოვანი დარტყმები განახორციელა — ფიზიკურად მოსპეს „ისლამური ჯიჰადის“ ჩრდილოეთის მიმართულების მეთაური ბაზა აბუ ალ-ათა, რომელსაც მოგვიანებით ბინიამინ ნეთანიაჰუმ მოძრავი ბომბი უწოდა. დღის შვიდ საათზე კი ისრაელის ქალაქებს საპასუხო ცეცხლი დაატყდა თავს. დღის განმავლობაში პალესტინელებმა ისრაელის ცენტრალური სამრეწველო რაიონების მიმართულებით 190 თვითნაკეთი ყუმბარა გამოუშვეს. ამოქმედდა სარაკეტო დაცვის სისტემა „რკინის თალი“, მიუხედავად ამისა, რამდენიმე ყუმბარა რეზიდუთის საცხოვრებელ სახლებს დაეცა. დაბომბვას საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. საგანგამო სიგნალები თელ-ავივსა და მოდიინშიც გაისმა. სკოლებმა და საბავშვო ბალებმა მოქმედება შეწყვიტეს, მთელს სახელმწიფოში შეწყდა სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობა. წმინდა ქალაქის — იერუსალიმის მერიამ კი ისხდნენ და იმაზე ბჭობდნენ, ჩაეტარებინათ, თუ გადაედოთ „ხსოვნის სანთელის“ საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალი — კომპლექსი „ხსოვნის სანთელი“ ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის წლებში ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ხსოვნას. ბოლოს ქალაქის თავმა — მოშე ლიონმა გადაწყვიტა: მიუხედავად ასეთი საგანგამო სიგნალებისა, ცერემონიალი ჩაეტარებინათ — ისრაელის სხვადასხვა ქალაქებიდან იერუსალიმისაკენ უკვე მოემგზავრებოდნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, რომლებმაც ლენინგრადის მლოკადის 900 ტრაგიკული დღე გადაიტანეს.

იერუსალიმის ცენტრში, საკერის პარკში — „ხსოვნის სანთელი“ სწორედ აქ განთავსდება — 12 საათიდან ბლოკადის მთავარი მუსიკა — შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია ჟღერდა. ეს მუსიკა, საბჭოეთში ფაშისტთა შემოჭრის ასოციას რომ ქმნიდა, დღევანდელი ისრაელის რეალობასაც ასახავდა.

მოშე ლიონმა თავისი გამოსვლის დასაწყისშივე ისაუბრა ისრაელის სამხრეთის მოსახლეობაზე, რომლებიც პალესტინელთა დაბომბვის ცენტრში



გახლდნენ მოქცეულნი, ასევე ისაუბრა იმ ჯარისკაცებზე, რომლებიც ამ მძიმე წუთებში საბრძოლო ვახტზე იდგნენ და თქვა:

— როგორც იერუსალიმის მერი, რომელმაც თავისი არსებობის განმავლობაში ასობით ბლოკადა გამოიარა, პატივისცემით ვეკიდები ლენინგრადელთა გმირობას — 27 იანვარი, როცა ლენინგრადის ბლოკადა ჩამოიშალა, მნიშვნელოვანი თარიღია ებრაელი ერისთვისაც — 1944 წლის 27 იანვარს საბჭოთა არმიამ ლენინგრადი გაანთავისუფლა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ზუსტად 27 იანვარს — ზუსტად ამ დღეს გაანთავისუფლა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი. ამიტომ „ხსოვნის სანთელზე“ ერთ მხარეს გამოსახული იქნება მავთულხლართებში მოქცეული დავითის ფარი და მენორა — ჰოლოკოსტის ტრაგედიის სიმბოლო, მეორე მხარეს კი მერცხალი, რომელსაც ნისკარტით წერილი მოაქვს.

იერუსალიმის მერის შემდეგ გამოსულმა სანქტ-პეტერბურგის ვიცე-გუბერნატორმა ვლადიმერ კინიგინმა აღნიშნა, რომ „ხსოვნის სანთელი“ დაიდგება ისრაელში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ინიციატივით, მაგრამ მთლიანად ფინანსდება ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის, ასევე რუსეთის ებრაელთა კონგრესის, ფილანტროფ ვიქტორ ვაქსელბერგისა და სხვათა შემწეობით.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა განაცხადა:

— მემაცყება ის, რომ ებრაელი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს: უზუნაესმა იგი ნათელი არმიის ჯარისკაცების ხელებით იხსნა. სხვა ქვეყნებში, სამწუხაროდ, ნათელი არმიის გმირობისადმი

მიძღვნილ ძეგლებს ანგრევენ, ჩვენ კი მათ ძეგლს ვუგებთ და ვეტერანებს, რითაც შევძლებთ, დავცხმარებთ. მე დიდხანს ვცხოვრობდი პეტერბურგში და ყურმოკვრით როდი ვიცი, ფაშისტურმა ბლოკადამ, თუ რა კვალი დატოვა ამ ქალაქის მცხოვრებთა სულებში. ალყაში მოქცეული ქალაქის მცხოვრებთა და დამცველთა შორის 150 ათასი ებრაელი იყო, ათობით ათასი დაიღუპა, ბევრი ებრაელი სახალხო მოლაშქრეთა რიგებში ჩაენერა, იერუსალიმში დადგმული „ხსოვნის სანთელი“ განა მხოლოდ ჩვენს საყოველთაო ხსოვნას გამოიხმობს, იმასაც შეგვახსენებს, რომ მშვიდობა, მშვიდობიანი ყოფა ერთობ სათუთი და გაფრთხილება უნდა. ყველაფერი უნდა ვიღოთ იმისათვის, რომ დავამკვიდროთ სამართლიანობა, გვახსოვდეს ის სამინელი ომი, რათა ჩვენი ხალხების ტრაგედია აღარ განმეორდეს.

„ხსოვნის სანთელის“ საფუძვლის ჩაყრის ცერემონიაზე ვიქტორ ვაქსელბერგმა გაიხსენა თავისი მშობლების მონაწილეობა სამამულო ომში. ელჩმა ანატოლი ვიქტოროვმა კი გაიხსენა, რომ შვიდი წლის წინათ ნეთანიაჰი დაიდგა ძეგლი, რომელიც ასახავს საბჭოთა არმიის ფაშისტებზე გამარჯვების სიდიადეს, რომლის გახსნის ცერემონიაში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მონაწილეობდა.

დასასრულს გაისმა „გამარჯვების დღე“, სიმღერა, რომელსაც ცერემონიალის ყოველი მონაწილე თვალზე ცრემლმომდგარი აჰყვავდა.

ვარაუდობენ, რომ „ხსოვნის სანთელის“ გახსნის ცერემონიაზე ისრაელში ჩავა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.

„კადიში“ იქ, სადაც...

1972 წელს მთელი მსოფლიო შესძრა პალესტინელი ტერორისტების მიერ ჩადენილმა ვანდალიზმმა — მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების დღეებში ღამის სიბნელეში ისინი შეიპარნენ მიუნხენის ოლიმპიური სოფლის იმ მონაკვეთში, რომელშიც ისრაელელი სპორტსმენები იყვნენ განთავსებული და ამოხოცეს სპორტსმენები, მათი მწვრთნელები.

იმ წლებში ისრაელის პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი გახლდათ. პრემიერმა „მოსადს“ დაავალა შურისძიების აქტის განხორციელება: ტერორისტები ევროპისა და აზიის სხვადასხვა სახელმწიფოებში იყვნენ დაფანტულნი და არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდნენ.

„მოსადმა“ ყოველ მათგანს მიაგნო.

ყოველმა მათგანმა თავისი სიცოცხლით აგო პასუხი ჩადენილ ბოროტებაზე. ისრაელელთა სამართლიან განაჩენს ვერცერთმა ბოროტმოქმედმა ვერ დააღწია თავი.

ოქტომბრის ბოლო დეკადაში მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელთა შეკრებაზე მიუნხენში იმყოფებოდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი მიხეილ მირილაშვილი, იგი ამავე კონგრესის გენერალურ დირექტორთან — ხაიმ ბენ იაკობთან ერთად მიუნხენის მემორიალურ მუზეუმში მივიდა. მათ დაათვალიერეს ტრაგედიის ადგილი, დალუპულ სპორტსმენტა მეზუუმში დაცული ექსპონატები და ტერორის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებლად, წაიკითხეს „კადიში“.



მოულოდნელი და მიუღებელი

ყოველ 5 ნოემბერს ისრაელში ტრადიციულად ალიის დღე აღინიშნება. წელს ამ დღემ ბევრისათვის შეუმჩნევლად ჩაიარა. თუმცა, საამაყო ბევრი არც რამ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები დღესასწაულის „მთავარი გმირების“ მიმართ სიყვარულის გამოცხადებით არ იღლებიან, ახალი რეპატრიანტების მიღების საკითხი ერთობ პრობლემური გახდა. 6 ნოემბერს Ynet-ის თავის სვეტში ამის თაობაზე წერს ებრაული დიასპორის სპეციალისტი და ახალ რეპატრიანთა პროგრამების ავტორი ნათანიელ აფეკი.

სტატიაში „ისრაელში ახალი რეპატრიანტებისათვის პირადად შენ რა გააკეთე?“ ავტორი წერს, რომ ისრაელში უყვართ ლაპარაკი ებრაელი ერისათვის ისრაელის სახელმწიფოს მნიშვნელობაზე, მაგრამ თითქმის არაფერს აკეთებენ რეპატრიანტებისათვის. „ისრაელში ყოველწლიურად 30 ათასი რეპატრიანტი ჩამოდის, უმეტესობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ცოტა — დასავლეთის სახელმწიფოებიდან. კარგადაა ცნობილი ალიის — რეპატრაციის სტატისტიკა, მაგრამ არაფერი ვიცით იმათ თაობაზე, ვინც ისრაელში ვერ გაძლო და ქვეყანა დატოვა („იერიდა“). არაფერი ვიცით, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა ერთობ საგანგაშოა. არაოფიციალური (სამარცხვინო!) მონაცემებით იმის გამო, რომ ისრაელი მათს იმედებს არ ამართლებს, რეპატრიანტთა მეოთხედი ისრაელს ტოვებს — იმ ქვეყანას უბრუნდება, საიდანაც ჩამოვიდა.“

ქარხანა აღარ არსებობს

როგორც ისრაელური პორტალი Walla ისრაელის თავდაცვის არმიის პრესსამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, არმიამ ღაზში გაანადგურა ქარხანა, რომელშიც „ისლამური ჯიჰადის“ ტერორისტები აწყობდნენ რაკეტებს და შემდეგ ამ იარაღს ისრაელს უშენდნენ. სამხედრო პირთა განცხადებით, ამ ქარხანაში არა მხოლოდ რაკეტებს აწყობდნენ, მისთვის აუცილებელ დეტალებსაც ამზადებდნენ. სანარმო რამდენიმე საამქროსაგან შესდგებოდა. ისრაელის არმიამ აგრეთვე შეტევა განახორციელა „ისლამური ჯიჰადის“ ერთ-ერთ შტაბსა და შეიარაღების საწყობზე. დღეისათვის ისრაელმა ღაზის ცენტრალურ ნაწილში გაანადგურა „ისლამური ჯიჰადის“ საველე მეთაური 38 წლის ხალედ ფარაჯა და 17 ტერორისტი, დაბომა გვირაბები, სანვრთელი ბაზები და საწყობები.

„ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“

6 ნოემბერს აშდოდის ვიცე-მერის მოშე ბოთერ-აშვილის მხარდაჭერით, გაიმართა 2016-2019 წლებში განხორციელებული პროექტის „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“ პრეზენტაცია. პროექტი დაფინანსდა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და გახლავთ „უცხოეთში მოღვაწე თანამეგობრულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის“ სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამარჯვებული (1-2016-32).

ნაშრომს, რომ სამეცნიერო ღირებულებასთან ერთად, დიდი საზოგადოებრივი დატვირთვაც ექნებოდა, საკონკურსო კომისიის მიერ სწორად იქნა გათვალისწინებული — მიმართულებებს შორის პროექტი „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“ პირველ ადგილზე გავიდა.

ნამყვანი ორგანიზაცია, სადაც ძირითადად განხორციელდა პროექტი, არის ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი — არიელის უნივერსიტეტის კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაულ თემთა კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), ხელმძღვანელი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი თამარ ლომთაძე, კოორდინატორი — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლალი გულედანი. ძირითადი მონაწილე — თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი ცირა ჯანჯღავა. პროექტში ძირითადი მონაწილეების სტატუსით ჩართული იყო ორი ახალგაზრდა მეცნიერი: თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთარგმნელ-ლინგვისტი, მაგისტრი რიტა ჯაიანი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ანი კვირიკაშვილი.

ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა ისრაელში პრაქტიკულად მანამდე არ განხორციელებულა. სარწმუნოებასა თუ ადამიან-ნებსებთან ერთად, ქართველ ებრაელებს სხვებისაგან განსხვავებული მეტყველებაც ახასიათებდათ, მაგრამ ამ მეტყველების შესწავლას სერიოზული ყურადღება არ მიქცევია. მიზეზი საბჭოთა რეჟიმი გახლდათ, რომელმაც ებრაელთა იდენტობის ეროვნული გამოხატულებები შეზღუდა და ამიტომაც ასეთი კვლევები აკრძალა. კვლევები ქართველ ებრაელთა ენის საკითხებთან დაკავშირებით, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. მაგ. კოტე წერეთელმა, კ. დუმბაძემ, თ. ლომთაძემ და სხვებმა გასული

საუკუნის დასასრულს საქართველოში, რ. ენოხმა, კ. ლერნერმა, გ. ბენ-ორენმა და სხვებმა ისრაელში შეისწავლეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით. მაგრამ იმ დიდი ხარვეზის ამოვება, რომელიც თავის დროზე საკითხის შეუსწავლობამ გამოიწვია, ძნელი აღმოჩნდა. საკითხი სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებდა. ამას დაემატა ისიც, რომ ებრაელთა ძირითადმა ნაწილმა საქართველო დატოვა გასული საუკუნის 70-90-იან წლებში (დაახლოებით 100 000) და ისრაელში, სხვა ქვეყნებში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ახალგაზრდა თაობა ქართულს იშვიათად სწავლობს. ბილინგვური სიტუაცია თავის კვალს ამჩნევს საქართველოში აღზრდილთა მეტყველებასაც. საქართველოში დარჩენილი მცირერიცხოვანი თემი კი ნელ-ნელა ივიწყებს ებრაული მეტყველების სპეციფიკურ ელემენტებს. ამიტომაც საქართველოში ებრაელთა მეტყველების ლინგვისტურ მაჩვენებელთა შესწავლის ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენდა თანამედროვე ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა ისრაელში. პარალელურად, აღნიშნულმა მასალამ მოგვცა შესაძლებლობა დაგვეფიქსირებინა ქართული ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციები, განსხვავებულ ენობრივ გარემოცვასა თუ ენობრივ სიტუაციაში.

პროექტი „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“ მეცნიერული კვლევის პირველი ცდაა. პირველად მოხდა ეთნო-ლინგვისტური მასალის ჩანერა და შესწავლა სამი ძირითადი მიმართულებით: ლინგვისტური, სოციო-ლინგვისტური და დოკუმენტირება.

პროექტის განხორციელებისას ისრაელში ჩავინერეთ მასალა. ჩანერისას რესპონდენტები შევარჩიეთ ასაკობრივი, სოციალური და გენდერული სელექციის პრინციპით. დავადგინეთ ბილინგვიზმის სახეობები და დავაკვირდით კოდების გადართვებს. ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში წარმოვჩინეთ ქართული სუბსტრატული ელემენტები (ლექსიკა, ფრაზეოლოგია). მასალა გაანალიზდა ისრაელსა და საქართველოში რესპონდენტების განსახლების მიხედვით. ამგვარმა კლასიფიკაციამ საშუალება მოგვცა, ერთი მხრივ, აღგვეჩერა ისრაელში ქართულის მდგომარეობა რეგიონების მიხედვით, მეორე მხრივ, საქართველოში განსახლების მიხედვით გამოგვეყო სალიტერატურო, ტერიტორიული, თუ ეთნიკური დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. მოხდა ისრაელში მცხოვრებ ქართველ-

ელ-ებრაელთა მოსახლეობის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, დღესასწაულების, მატერიალური და სულიერი კულტურის მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა და შესწავლა.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაო ფასეულია როგორც საკუთრივ ქართველოლოგიური, ასევე ეთნოლოგიური, ისტორიული, ინტერდისციპლინარული და ინტეგრირებული კვლევებისათვის. თანამედროვე გლობალიზაციისა და ურბანიზაციული პროცესების გათვალისწინებით, აღნიშნული მეცნიერული სამუშაოს დროულად შესრულება მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანასა და ვალდებულებას წარმოადგენდა.

ამ სახის ნაშრომის გარეშე, ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნებოდა სრულყოფილი გააზრება ებრაულ-ქართული ენობრივი სამყაროსი, რომელიც ინტერესს აღძრავს უამრავ მკვლევარს შორის, არამარტო საქართველოსა და ისრაელში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ებრაული დიასპორები კომპაქტურად ცხოვრობდნენ.

მოპოვებულ მასალას ქართველურ და სემიტურ სივრცეში, ქართულ-ებრაული ენობრივი, თუ კულტურული ურთიერთობების კვლევისათვის უნიკალური წყაროს მნიშვნელობა აქვს. ამგვარი ხასიათის სისტემური სამეცნიერო ინტერესები ქართულ რეალობაში კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქართველ ებრაელთა წარმომადგენლები, ისრაელში საქართველოს საელჩოს პოლიტიკურ საქმეთა მრჩეველი ქალბატონი მანანა დუმბაძე, ებრაული უნივერსიტეტის ტრუმანის ინსტიტუტის ანთროპოლოგიისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის პროფესორი ხენ ბრამი და სხვა მეცნიერები.

გამოითქვა სურვილი, რომ მსგავსი სახის კვლევა-ძიება მომავალშიც გაგრძელდეს, რათა მომავალ თაობებს დარჩეს უტყუარი დასტური იმისა, რომ ისრაელის მიწაზე ქართული მეტყველება ისმოდა.

თამარ ლომთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ანი კვირიკაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაული სოციო-ლინგვისტიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

იცნაჲ დავიდი

მ ი ს ტ ი უ რ ი ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა

მზე ესვენება. უსასრულო პარიზულ სივრცეს, რა შემოათრობს — განტევების ანგელოზს უცდის, აქ მესალმება სერაფიმთა წყება და ირჩევს, პარფიუმერიას სამონასტრო დედათა სულში.

დღე იყო მშვიდი, ისე მშვიდი, რომ არც ეგონა, სულ სხვანაირი იყო ზეცა ღმერთს შენაზარდი, გამთენიისას ვლოცულობდი — ისმოდა რეკვა, ზართა გოლგოთა ზანზარებდა შობათა რკალში.

განა რას ვითხოვ ღვთისმშობელო. მე ამ ქალაქში, მოარულ უცნობს ვემსგავსები ღამენათევი, ხალხი აკვდება მატერიის უკვალო სრბოლას, და სანუკვარი მეზმანება სულ სხვა ნათელი,

კალანდობაა, ჰო მიენდე უმთვარო სერებს, გამოუცნობი რჩება ერთი ძველი პაზელი, იისფერეთში მელანდება ისევ მაღამი, შეჰყურებს ჰერმესს და დიორის სურნელით ტკბება,

გახსოვს მონმარტრი, მულენრუჟი და სხვა გამჩენთა, ვწერდი სტრიქონებს და მაცხოვარს შევთხოვდი შველას, შემთხვევითობა არ გეგონოს, ისევ იშვები, რათა ძეგლები აღუმართო წმინდანთა წყებას,

ისევ იწყება ის ნათება — შორიელეთში, ფერს იცვლის ღმერთი საუკუნის ორომტრიალში, განხვნა ბაგენი, მომეფინა ის ბოლო სევდა, და ცისფერეთის განჩინებად მივიკარგები,

ჩაესვენაო, არ გეგონოს სიკვდილი, კარგო, ჩვენ ხომ სამყარო ვრაცხედ ახალ დედასამშობლოდ, დიდი კურთხევის საოცრებად ელვარებს ვნება, დნება სანთელი, მასთან ერთად ვქრები ამბორით,

მოგესალმები საოცნებოდ სხვათა ქალაქში... არდავინწყებულს მივემთხვევი და სასწაულად, მომეცხადება ღვთაებრივი კდემის აჩრდილი, და მომიყვება ერთ ძველ ამბავს მიწად წარუვალს,

ღრუბლების ფენას შემოინთებს ნთხეული სისხლი, ღამის ბინდ-ბუნდში წარუჩენელს ელტვოდა არსი და უკვდავების მოლანდება აღარ მოგიხმობს და ცოდვილების რიგს მისდევდა წამების წამი...

განშორებისას კიდევ ერთხელ შეავლებ მზერას, ამ დიალემებს ვერ ჩაუვლი მზის მღუმარებით. თენდება ისევ და სიცოცხლის ნიშან-წყალს ეძებ, მსოფლიოს წგრევა-დარბევების მოუსაველეთში,

აღზევდეს ისევ მოცვარული რწმენის ქალაქი, ლურჯ მანტიებში მიმოქარგოს სულის ვედრება. მაღამის სხეულს ურჩი ღმერთი თუ მოიქალებს, გარდაფერების სანმინდეთსა და ბელვედერში.

პარიზი, საფრანგეთი, 25 დეკემბერი, 2018 წელი.



გერცელ ბააზოვის დაბადების 115-ე წლისთავი პირველი ქართველი ეპრაელი მწერალი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ებრაელთა შორის მანამდეც იპოვებოდნენ ლიტერატურული ნიჭით მაღლ-ცხებული ისეთი პიროვნებანი, რომელთა მხატვრული და ესეისტური ნაწერები დროდარო იბეჭდებოდა კიდევ ქართული პრესის ფურცლებზე, გერცელ ბააზო-ვი (1904-1938 წწ.) სავსებით მართებულადაა აღიარებუ-ლი პირველ თვალსაჩინო ქართველ ებრაელ მწერლად.

გერცელ ბააზოვის ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვალთახედვის ჩამოყალიბებაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ იგი დაიბადა და აღიზარდა ცნობილი სასულიერო მოღვაწის, რაბინ დავით ბააზო-ვის ოჯახში, პიროვნებისა, რომელიც ფაქტობრივად პირველი ქართველი ებრაელი ესეისტი იყო, საქარ-თველოში ორ ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მცხოვრები ებრაელების კულტურულ-საგანმანათლე-ბლო ცხოვრების რეალურად ამალორძინებელი დიდი მამულიშვილი. თავისი აქტიური პრაქტიკული საქმი-ანობითა და იმდროინდელ ქართულ თუ უცხოურ პრესა-ში დასტამბული წერილებით დავით ბააზოვმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა რელიგიური და ეროვნული თვითშეგნების კედევ უფრო მეტად განმტ-კიცების საქმეში.

გერცელ ბააზოვმა არა მარტო მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული მწერლობის ისტორიაში შეა-სრულა მნიშვნელოვანი როლი, არამედ იმ მეგობრული ერთობის კედევ უფრო მეტად განმტკიცებასაც დიდად შეუწყო ხელი, რომელიც ოცდაექვსი საუკუნის მან-ძილზე მკვიდრდებოდა ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითა და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობით მან ღირ-სეულად აღასრულა ეს მნიშვნელოვანი ადამიანური მოვალეობა და თავის შემოქმედებაში ორი ერის ერთო-ბლივი თანაცხოვრების არაერთი შთამბეჭდავი მაგალი-თი გვიჩვენა.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ფაქტო-ბრივად, იგი პირველი მწერალია, რომელმაც სიღრმ-ისეულად, მაღალი პროფესიონალიზმითა და დახვეწილი ლიტერატურული ოსტატობით ასახა ებრაული თემა, ნიჭიერი შემოქმედის მახვილი თვალთ დაგვანახა ქა-რთველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, ადათ-ტრადიციე-ბი, მათი ეროვნული ფსიქიკისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მხარეები, სარწმუნოებრივი და სულიერი ისტორიული სინამდევები.

დღეს, როდესაც თავის ისტორიულ სამშობლოში უკუქცეული ქართველი ებრაელობის ცნობიერებაში ახალი ძალით აღზევდა საქართველოსადმი სიყვარუ-ლის სათუთი გრძნობა, გ. ბააზოვის შემოქმედებისადმი ინტერესმა სხვა განზომილებაც შეიძინა. კერძოდ, ჩვენს წარმოსახვაში მისი სახელი ორი ხალხის ისტორიული მეგობრობის განმამტკიცებელ სიმბოლოდაც იქცა, რო-მელიც არა მარტო წარსულსა და დღევანდლობას აკა-ვშირებს ერთმანეთთან, არამედ ჩვენი მომავალი ერთო-ბისთვისაც ქმნის მკვიდრ საფუძველს.

გ. ბააზოვის ლიტერატურული გზა 1918 წლიდან იწ-ყება. ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე იგი ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. 1923 წელს მან ძველებრივიდან ქართულად თარგმნა და გა-მოაქვეყნა პოემა „გალობათა გალობა“, რომელიც 1927 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. ოციანი წლებიდან დაწყებული გ. ბააზოვის ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. იგი ავტორია არაერთი ლექსისა, პიესისა, მოთხრობისა, რომანისა და პუბლი-ცისტური წერილისა, რომლებიც გამოდიოდა ცალკე წიგნებად, ხოლო პიესები წარმატებით იდგმებოდა ქარ-თული თეატრის სცენაზე.

გ. ბააზოვის შემოქმედებითი მოღვაწეობა განსა-კუთრებული აღმავლობის ფაზაში შევიდა 1928 წლი-დან, როდესაც მკითხველმა მიიღო მის მიერ გადმოქა-რთულებული და ორიგინალურად გააზრებული პიესა - „დილუეამარი“ ცნობილი პოლონელი მწერლის - ბენ-აბრამისა. სამწუხაროდ, მწერლის ეს ნაყოფიერი შემო-ქმედებითი მოღვაწეობა მეტად ხანმოკლე გამოდგა და 1938 წელს იგი გახდა ტრაგიკული მსხვერპლი საბჭოთა იმპერიაში იმხანად აღზევებული სისხლიანი პოლიტი-კური რეპრესიებისა.

დაწყებული ამ ტრაგიკული მოვლენიდან 1955 წლამდე, როცა მწერლის რეაბილიტაცია მოხდა, გ. ბააზოვის, როგორც ხალხის მტრად შერაცხული პიროვნების, სახელის ხსენებას უმკაცრესი ტაბუ ჰქონ-და დადებული.

რეაბილიტაციის შემდეგ გ. ბააზოვის შემოქმედებას კვლავ გაეხსნა გზა მკითხველთა ფართო საზოგადოე-ბისაკენ. რამდენჯერმე გამოიცა მისი ნაწარმოებები. დაიბეჭდა წერილები და გამოკვლევები მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

გერცელ ბააზოვის შემოქმედება დღევანდელი მკითხ-ველისათვის განსაკუთრებული დაინტერესების საგანი, პირველ ყოვლისა, იმიტაც ხდება, რომ მასში ნიჭიერი

მწერლის თვალთაა დანახული ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებისა და სარწმუნოების სპეციფიკური მხარეები.

ღვთით ბოძებულ შემოქმედებით ნიჭთან და თავისი ერისადმი განსაკუთრებულ სიყვარულთან ერთად, ამ გარემოებას არსებითად განსაზღვრავდა ისიც, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობდა ებრაელი ხალხის ფსიქიკას, ყოველდღიურ ყოფას, ეროვნულ და სარწ-მუნოებრივ ტრადიციებს, კარგად იყო დაუფლებული ებრაულ ენას. ეს ყველაფერი გ. ბააზოვის შემოქმედე-ბაში უდიდესი სიყვარულითაა ასახული.

გ. ბააზოვის ლიტერატურული შთაგონების უმ-თავრესი საგანი თანამედროვეობა იყო. მწერალმა თავისი შემოქმედების ძირითად თემად იმ სოციალური ძვრებისა და გარდაქმნების აღწერა აქცია, რომლებიც 20-იანი და 30-იანი წლების ქართული ყოფის სახეს განსაზღვრავს. მის მიერ დახატული პერსონაჟები, პირველ ყოვლისა, იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენების ცენტრში არიან მოქცეულნი და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ-პოლი-ტიკური გარდაქმნების პროცესში.

გ. ბააზოვის შემოქმედება მწერლის თანამედროვეე-ბმა 20-30-იანი წლების ქართული თეატრალური ხე-ლოვნების ერთ-ერთ საგულისხმო შენაკადადაც აღი-არეს. სწორედ ამ აღიარების დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ინტერესი, რომელიც მისი დრამატურ-გისადმი ქართული თეატრალური ხელოვნების ცნო-ბილმა ოსტატებმა გამოიჩინეს. გ. ბააზოვის პიესების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების წარმატებას ხელი მნიშვნელოვანწილად იმ გარემოებასაც შეუწყო, რომ მათში იმჟამინდელი ქართული სცენის დიდოსტატებიც ასრულებდნენ მთავარ როლებს.

გერცელ ბააზოვის როგორც მხატვრული, ისე ეს-ეისტური შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა ან-ტისემიტიზმის მხილება და დაგმობა იყო. თავის ერზე უსაზღვროდ შეყვარებულ მწერალს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ძვე-ლადაც და მის დროსაც, რეაქციული ძალები დაუნდო-ბლად არბევდნენ და ანიოკებდნენ ებრაელობას. მშობ-ლიურ ფესვებს მონყევტილი და სხვა სახელმწიფოთა ხიზნებად ქცეული ამ ტანჯული ერის უდანამაულო შვილების სისხლი, უწყვეტ ნაკადად მომდინარე საუკუ-ნეთა წაიღიდან, დაუცხრომელი ტკივილით უვსებად და უფორიაქებად მწერალს სულს. ამიტომაც იყო, რომ ეს მძაფრი შინაგანი ნალველი უღრმესი წუხილით ავსებდა მთელ მის შემოქმედებას.

სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა გ. ბააზოვის მოთხრობები — „ალვარ როდრიგო“ (1924 წ.) და „ნი-კანორ ნიკანორიჩი“ (1930 წ.).

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში გ. ბააზოვის ლიტერატურული წვლილის საუკეთესოდ წარმოიჩენ ნაწარმოებებს შორის უსათუოდ უნდა მოვ-იხსენიოთ 1932-33 წლებში დაწერილი მისი რომანი „ფეთხანი“. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს ვრცელ ეპიკურ ტილოდ ჩაფიქრებული ამ ნაწარმოების მხოლოდ პირველი ნიგნი აქვს დაწერილი, იგი მაინც უნდა შეფას-დეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმ-ნილება გ. ბააზოვის შემოქმედებაში.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ფეთხანი“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო მხატვრული ქმნილებაა, რო-მელიც თითქმის ენციკლოპედიური ყოველისმომცე-ელობით გვაცნობს ქართველ ებრაელთა ყოფას, სარწ-მუნოებას, ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-ტრადიციებს.

და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვა-ნია ის გარემოება, რომ ეს ყველაფერი რომანში აღ-წერილია ცოცხლად, იმჟამინდელ მოვლენებთან ორ-განულ კავშირში და არა თვითმიზნურად, მშრალად და განყენებულად. მეორეც, მანამდელი ქართული ლიტერ-ატურისათვის არსებითად სრულიად უცნობი ეს ყოფით-ეინოგრაფიული და რელიგიური სამყარო დახატულია არა გარეშე კაცის მიერ, არამედ თავად ამ სამყაროში აღზრდილი და მისი ყოველი წერილმანის ზედმიწევნითი სიზუსტით მცოდნე ნიჭიერი მწერლის მიერ.

ასე რომ, „ფეთხანის“, ისევე როგორც გ. ბააზოვის სხვა ნაწარმოებების, ნაკითხვის შემდეგ მკითხველი უფრო სიღრმისეულად და გააზრებულად ხედავს და შეიგრძნობს ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას.

გერცელ ბააზოვის პირველი მნიშვნელოვანი დრა-მატურგიული ქმნილება, რომელმაც ლიტერატურული საზოგადოებრიობის დიდი დაინტერესება გამოიწვია, ზემოთ უკვე მოხსენიებული პიესა „დილუეამარი“ იყო. იგი ორიგინალური ნაწარმოები არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ესაა პოლონელი ებრაელი მწერლის - ბენ-აბრამის მისტერიის - „ამავე უძველეს კოშკში“ გადმოკეთებული ვარიანტი.

გ. ბააზოვის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანი



ადგილი უჭირავს ტრაგედიას „იკვა რიჟინაშვილი“, რომელიც 1936 წელსაა დაწერილი და, ფაქტობრივად, მწერლის უკანასკნელ თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარ-მოებს წარმოადგენს. პიესის რეგოლუციურმა თემა-ტიკამ იმთავითვე განსაზღვრა მისადმი გამორჩეული ინტერესი, რაც იმით გამოიხატა, რომ იგი წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

გერცელ ბააზოვის შემოქმედებითი ღვაწლის წარმო-ჩენის დროს, გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ყურ-ადღება უნდა მიექცეს მის ესეისტურობასაც. მისი ესეების უმეტესობა ავტორს თუმცა სრულად ახალგაზრდას — 19-20 წლისას — აქვს დაწერილი, მათში ფართო მასშტა-ბურობით ვლინდება მწერლის ეროვნულ-მოქალაქეო-ბრივი თვალთახედვა, ცხოვრებისეული პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა, მოვლენათა განზოგადებული ანალიზის ნიჭი და უნარი. ამ წერილების უმთავრესი სულისკვეთება ებრაელი ხალხის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დაუცხრომელი ფიქრითაა განსაზღვრუ-ლი. ისინი მთელი სიმწვავეთი წამოჭრიან ქართველი ებრაელების წინაშე იმ დროისათვის მდგარ პრობლე-მებს. მაგრამ გ. ბააზოვი არ კმაყოფილდება პრობლემა-თა მხოლოდ უბრალო დასმით და აქტიურად ეძებს მათი გადაწყვეტის გზებსაც. ამ შემთხვევაში იგი ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც ღრმად დაფიქრებული მამუ-ლიშვილი, რომლის მახვილი უბოლქოებისტური სიტყვა განზოგადებული ფორმით წარმოაჩენს ოციანი წლების რთული სოციალური და პოლიტიკური ვითარების, უპ-ირველეს ყოვლისა კი ქართველ ებრაელთა ყოფის, მრავალ საჭირობოტო საკითხს.

გ. ბააზოვი ზედაპირულად არ ხედავს ფაქტებს და ყოველთვის ცდილობს ქართველ ებრაელთა საჭირ-ბოროტო საკითხებზე მსჯელობა განუყოფელად დაუკა-ვშიროს იმჟამინდელ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებს. განსხვავებით თავისი მხატვრული ნაწარმოებებისაგან, სადაც მწერლის თვალთახედვა ზოგჯერ საკმაოდ რო-მანტიზებულიცაა და პოლიტიზებულიც, პუბლიცის-ტურ წერილებში გ. ბააზოვი უფრო მოვლენათა რეალ-ისტური შეფასების გზას ირჩევს.

გ. ბააზოვი ბევრს ფიქრობდა იმაზე, რომ ქართველ ებრაელობას, რომელსაც საქართველოში არასოდეს განეცადა ეროვნული დევნა-შევიწროების სამინელე-ბანი, ფაქტობრივად, ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე არ გამოუვლენია თავისი დიდი შინაგანი პოტენცია. საუკუნეების მანძილზე ისინი, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად იყვნენ მონყევტილნი გარემომცვე-ელ ინტელექტუალურ სამყაროს.

ამ საკითხებზე ღრმა მამულიშვილური გრძნობით დაფიქრებული მწერალი, ჭაბუკოვთანვე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, გატაცე-ბით ეძებდა ერის ინტელექტუალური გამოფხიზლების გზებს. მან კარგად იცოდა, რომ მოვლენათა მარტო დანახვა-დაფიქსირება არ იყო საკმარისი და თავდადე-ული ქმედების, ძეგლი, დახავსებული ცხოვრების წესზე უარის თქმისა და კულტურული აღორძინების გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ამიტომაც ცდილობდა, ქართ-ველ ებრაელები აქტიურად გამოსულიყვნენ სულიერი აღმავლობის ახალ ასპარეზზე.

გ. ბააზოვი არა მარტო თავისი ესეისტურობით ქად-აგებდა ქართველ ებრაელთა კულტურული დონის ამაღ-ლების აუცილებლობას, არამედ პრაქტიკულადაც აქტი-ურად იღვწოდა ამ მიმართულებით. ამის დადასტურებაა მისი საქმიანობა ებრაული სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დასაარსებლად, აქტიური თანამონაწილეობა ქართულენოვანი ებრაული გაზეთის — „მაკაველის“ გამოცემის საქმეში და ა. შ.

გ. ბააზოვის ბიოგრაფიის ღირსახსოვარ ფაქტთაგან აქ მინდა გავიხსენო მისი თავკაცობით ახალგაზრდა

(დასასრული მე-5 გვერდზე)

მოზარე მოოგელი მრისა

დავით აგმონი

„არ გამოცვლილა ხომ პოეზია – მუზეები ცისკრისკარებს ალებენ, მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვენია, ჩვენც ალბათ სადმე ჩავგაძაღლებენ.“

ერთი ნუთითაც შეუძლებელია დაშვება იმ ამბისა, რომ ტიცინა ტაბიძის ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებს მთელი არსებით არ გრძნობდა და ითავისებდაგერცელ ბააზოვი, კაცი, რომელიც დაუღალავი ენერგიითა და გამბედაობით ზრუნავდა თავისი მშობელი ხალხის უკეთესი მერმისისათვის და თავისი ბევრი თანამოკალმის მსგავსად, პირუთვნელად იმეორებდა, ალბათ, აკაკის ცნობილ პერიფრაზს ნამდვილი პოეტის, შემოქმედისმიერ ერთხელ დადებული ფიცის სიმტკიცესა და ურყევობაზე თვით მონამებრივი სიკვდილით გამოწვეულ ჯოჯოხეთურ საშინელებასთანაც კი.

ერთდროულად ბედნიერია და უბედურიც ის თაობა ქართველი ებრაელებისა, რომელსაც ახსოვს მისი უპირველესი მესაყვირისა და ჭეშმარიტი ქომაგის, გერცელ ბააზოვის ლიტერტურული და საზოგადოებრივი გზის დასწყისიც და დასასრულიც.

გერცელ ბააზოვი – აი, ჩვენი კრისტალური სინდისი და მარადულობის უქრობელი შუქით თავმონონება!

როგორც უცაბედი, მაგრამ სრულიად მოსალოდნელი ბაჯჯალო მზის სხივი, გამოზაფხულის პირველ დღეებს რომ ახლავს მაყრად, გამოაცოცხლებს რაც ძველ დროთა ერთფეროვნებას, რათა საღებნად აიყოლიოს სუსხით დამზრალი ძარღვი ბუნების, და უდიდესი ხიფათის ჟამსაც, რას თუნდაც დელტამით სიკვდილი ერქვას, ო, ის შესაშური ძალისხმევით არ იკვეთს სასოს და სჯერა მომავლის, — სწორედ ამგვარი ქედუხრელობის, ოპტიმიზმისა და განუშეორებელი სტოიციზმის ბეჭდიტაა დატვიფრული გერცელ ბააზოვის მთელი შემოქმედება.

ბევრს, ძალიან ბევრს არ გვინახავს იგი, არც მისი პოეტური დუდუნი გვსმენია და

არც ვაჟკაცური შემოძახილი, მისივ ბაგეების მიერ წარმოთქმული; არც მის უჭკვიანეს, ნაღვლიან მზერასა და ნატიფ ფიგურას, რომელთაც ფოტოებიდან ვიცნობთ, არ წაენყდომივართ არსად; ბევრს, ძალიან ბევრს არასოდეს გვექონია იმის ბედნიერება, რომ დავდარაჯებოდით მწერალთა სახლისა თუ თეატრებისაკენ მიმავალ ჩვენს ოქროპრის და ერთხელ მაინც გვეხილა იგი.

მაგრამ ეს საოცნებო ბედნიერება მაშინდელმა ეგრეთწოდებული ფრიად გასაიდუმლოებული ღამეებისა და გველური ფარსების გათამაშებამ წავგართვა;

მოგაგლში არსებობისათვის

განწირული

როგორც ჩანს, უნდა ვირწმუნოთ, რომ გერცელ ბააზოვი გახლდათ პირველი შემოქმედი 25 საუკუნოვან ქართველ ებრაელთა შორის. ჩვენს ანალებში სხვა სახელი არ ჩანს. ალბათ, ასეც იყო მოსალოდნელი — შუა საუკუნეების ქართველი ებრაელობა იმდენად განსხვავებულ, განკერძოებულ (არ მინდა ვიხმარო სიტყვა კარჩაკეტილ) ცხოვრებას ეწეოდა, არავის უცდია კალამი აელო ხელში, რათა ქაღალდზე გადაეტანა თავისი ტკივილი, თუ სიხარული, ან თუ უცდია, ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია- პრიორიტეტული სრულიად სხვა ღირებულებები გახლდათ. ისიც კი მგონია, შესაძლოა, გერცელ ბააზოვსაც ცხოვრების სხვა გზა აერჩია, რომ არა მამა — დიდი დავით ბააზოვი.

დავით ბააზოვი-ეს დიდი განმანათლებელი და მოღვაწე, შეეცადა სულ სხვა ტენდენცია დაენერგა ქართველ ებრაელთა შორის- საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრება, თვითოეული ქართველი ებრაელის საზოგადო პიროვნებად ქცევა. ეს მისწრაფება, ამ ტენდენციის სიკეთე რუს ებრაელთა შორის ყოფნისას, ამქენაზურ სამყაროში გაითავისა.

გერცელ ბააზოვის შემდეგ გავიდა წლები, მოვიდა შემოქმედთა ახალი თაობა. კვლავაც მოვლენ, მაგრამ გერცელ ბააზოვი მარად პირველი იქნება. 30-იანი წლებში დასადგურებულმა კავნის სულისკვეთებამ იგი ხსოვნისათვის გასწირა ისე, როგორც სალიერმამოცარტი. გერცელ ბააზოვის სალიერი ის დრო და სულისკვეთება, საზოგადოებრივი ფორმაცია აღმოჩნდა,

ებრაელ სცენის მოყვარეთაგან დრამატული დასის — „კადიმას“ ჩამოყალიბება, სადაც 1925 წელს, სხვა ებრაელ ავტორთა დრამატულ ნაწარმოებებთან ერთად, მისი პიესაც იქნა წარმოდგენილი — „საიდუმლო ბინა“. ორი წლით ადრე კი, თანამოაზრეებთან ერთად, გ. ბააზოვმა ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ებრაელთა ინტელიგენციის დაფინტული ძალების გასაერთიანებლად და ებრაული „დიდი კულტურული წრის“ — „თარბუთის“ დასაარსებლად.

ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველ ებრაელთა სწავლა-განათლების დონის ამაღლებას, კერძოდ, მათ დაინტერესებას ებრაული ენით, ისტორიითა და კულტურით. ამ განზრახვით, საზოგადოება აარსებდა

თუმცა, ერთი კია,– ჩვენი საუკუნის ქართველ ებრაელობას ვერ ნაჰგლიჯეს ხსოვნა გერცელ ბააზოვის დაუენყარი სილუეტის, რამაც შეგნება და მნიშვნელობა გაგვისალკლდევა ეროვნული სიამაყისა, რომელიც ჩვენი უიღბლო ისტორიისა და ტრაგიული წარსულის გამო, წელი-წელ, ნებსით თუ უნებლიეთ, შემოგვეფლ-ითა, შემოგვეძარცვა, უსასოობით განწირულ ზეცას შეტოვებულებს.

„გილიოტინას შეაგებეთ გილიოტინა!“ – როგორც ზარების უკანასკნელად გამაფრთხილებელი დარისხება, ისე გაისმა საქართველოს ებრაელთა ქოხმახებში ეს გულისა და გონების ამაფორიაქებელი ლოზუნგი; მარტო ამ სიტყვებისათვის დიდი კაცია გერცელ ბააზოვი!

სწორედ ამ გულწრფელი მოწოდების გამო თვალის-მომჭრელი ხიბლი ადგას მის განუშეორებელ პიროვნებას!

ამგვარად იშვიათი, შეიძლება ითქვას, სავსებით იშვიათი მომწუსხველობით ჯერ არასდროს უჭლერიათ რუსთაველის ენაზე ებრაულ ებანსა და ჭიანურს.!

თავსლაფი და განბილება ქართველი ებრაელების იმ თაობას, რომელსაც არ, თუ ვერ შეუგნია დიდი განმანათლებლის, დავით ბააზოვის, საამაყო უფროსი შვილის, გერცელის ამ ნამდვილი მაქსიმასა თუ მოწოდების ისტორიული გამართლება, რომელთა ხმა და რიხიც საუკუნოდ იბოპოტრებს ჭეშმარიტი მამულიშვილის, შეიძლება ითქვას, დიდი ხნის და სწეულებულ, მაგრამ ან უკვე, საბედნიეროდ, გაჯანსაღების გზაზე მყოფ გულში.

ჩვენ აქ ახლა ვერ გამოვუდგებით ზოგიერთების სარკასტულ ქორქილს და ბუნდოვან შენიშვნებს, მოჩმახულთ გერცელ ბააზოვის ეგრეთწოდებულ თანამგზავრულ ნაშრომებზე, რადგანაც ამისათვის არც გარემოება გავაჩნია და, მითუმეტეს, არც სურვილი, — მაგრამ ერთს კი ვიტყვით: ქართველ ებრაელთა პატარა თემი, რომელიც ახლო წარსულში თავის ახლადმობილებს გერცელ ბააზოვის სახელს არქმევდა და, ამგვარად, თითქოსდა თავისუფლების იმედს იასკეცებდა, არავის აპატიებს თავისავ წმინდა სალოცავების აუგსა და შეგინებას.

ყოველი შემოქმედი, მეტად თუ ნაკლებად, პოლიტიკოსია და იგი, როგორც ყოველი მოკვდავი, დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან; ხოლო რაც შეეხება ისევ და ისევ იმ ახირებულ თანამგზავრულ ლიტერატურას, ჩვენ მთელი რწმენით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ხანა (20 — -30-იანი წლები) იყო საშინელი რეპრე-

რომელსაც თავადვე ქმნიდა და რომლის განმტკიცებასაც ემსახურებოდა. გერცელ ბააზოვი გამონაკლისი არ არის-ასეთი ტრაგიკული ბედი იმ ეპოქის ბევრი შემოქმედის თანამდევი გახდა, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ ყველაფერი ეს ექცევა ებრაელთა თავსწეულ ტრაგედიათა ჩარჩოებში — ებრაელობა ძალიან ხშირად გამხდარა მსხვერპლი იმ საზოგადოებრივი, პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელსაც ქმნიდა და ემსახურებოდა. ტრაგიზმი იმითაც მძაფრდებოდა, რომ ამ რევოლუციური სულისკვეთების, კომუნისტური მრწამსის მწერალს ისინი ასამართლებდნენ, ვისთვისაც წერდა. ეს კი მისი შეცდომა კი არა, იმათი ვერაგობა იყო, ვინაც თავისი მესიტყვე საბრალდებო სკამზე დასვა. დროის ტენდენცია იყო ასეთი — შობილი მშობელს გუდავდა.

ჩვენი თანამედროვენი ხშირად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ გერცელ ბააზოვი პოლიტიზირებული მწერალი იყო, რომ იგი პოლიტიკას არ უნდა გაკარებოდა და ა.შ. არ დავმაღავ: ჩემს შინაგან პროტესტს ინვევდა და დღესაც ინვევს მისი პოლიტიზირებული, კლასობრივი მიდგომა მოვლენებისადმი, ხოლო მისი რომანის პერსონაჟის — ნათანის ფიქრი იმაზე, თუ რა გზა აირჩიოს-ტრამვაის თუ ღვთის სამსახურისა, არაადექვატურად მიმაჩნია, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ იგი ეპოქის შვილი და შემქმნელი გახლდათ? გერცელ ბააზოვს არ შეეძლო არ ეწერა იმაზე, რაც ესოდნ მთავარი იყო მისი დროისათვის. რუსეთის იმპერიაში ებრაელთა მისიის, არსებობის წინააღმდეგ მიმართულ წიგნში „200 წელი ერთად“ ალ. სოლჟენიცინის დერჟავნიკულმა სულისკვეთებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ებრაელები სწორედ იქცეოდნენ, როცა ცარიზმს ებრძოდნენ. ებრაელობის განმაქიქებელი სოლჟენიცინი გვიდასტურებს, რომ მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეულის რუსეთის ებრაელობა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის აგებას

პედაგოგიურ და სამეცნიერო კურსებს, სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებს, პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებს და ა. შ. „თარბუთი“ ისევე აუცილებელია საქართველოს ებრაელებისათვის, როგორც წყალი თევზისათვისო, — დაასკვნიდა მწერალი და ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ სიტყვიერი მქადაგებლის როლში კი არ გამოდიოდა, არამედ თავისი დიდი პრაქტიკული წვლილიც შეჰქონდა ხალხის ინტელექტუალური დონის ამაღლების საქმეში.

სამწუხაროდ, გ. ბააზოვმა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, 33 წლისა, ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება და მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლინება. მწერლის შემოქმედების მცოდნე

სიების ხანა, — მშვენივრად იგრძნობოდა, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას და გერცელ ბააზოვიც, როგორც ყოველი შორსმჭვრეტელი ადამიანი, ურჩევდა თავის თანამომძეებს ერთგვარ შემგუებლობას ახალ ხელისუფლებასთან; რომ არა ამგვარი მიდგომა მაშინდელი ვითარების მიმართ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიბეჭდებოდა „იუდეველი“, თუ „მარადი მგზავრის მონოლოგიდან“, „მოგონება თოთხმეტი ადარის“ თუ „ისრაელი ავტონომისტები და ჭეშმარიტი სოციალისტი“, „რიტუალის ლეგენდის გამო“ თუ „ნიკანორ ნიკანორიჩი“ და კვლავ – „გილიოტინას შეაგებეთ გილიოტინა!“.

დიახ, სწორედ რომ გერცელ ბააზოვი იყო ქართულ მწერლობაში პირველი და ერთადერთი ნათელი პიონერი, მცოდნე ებრაულ თემატიკისა, რომელმაც ყველას გასაგონად, სრულიად უშიშრად და ქედუხრელი, ვაჟკაცური ხაფით, ისე, როგორც სჩევოდათ ხოლმე მისი ერის უწარჩინებულეს ადამიანებს იმ შავბნელ და შხამით დაბანგულ საუკუნეებში, მამაცურად რომ იბრძოდნენ ყოველგვარი კაცთმოძულეობის, ტერორის, ბართლომეს ღამეებისა და აუტოდაფეების წინააღმდეგ, გადმოგვძახა:

გილიოტინა –ყოველივე ებრაულის, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით, – მის კუკურშივე მომსპობს!

გილიოტინა – ყოველგვარ კლერიკალიზმს და სიბნელეს!

გილიოტინა – ეროვნულ სილაჩრესა და უსასოობას! გილიოტინა – სიზარმაცეს, მცონარობასა და ყომარბაზობას! პირიქით და ათასჯერ პირიქით: სალამი მაქაბელებს,სიყვარულს, წიგნსა და პროგრესს!


აბა, ერთხელ კიდევ ნაიკითხეთ გერცელ ბააზოვის წერილები შალვა დადიანისადმი! – რაოდენი სიყვარული, ზრუნვა და სითბოა ამ ბარათებში ქართველი ებრაელების მიმართ! მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული, ზრუნვა და სითბო უდევს

ლეიტმოტივად უკლებლივ მის ყველა ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ ნაჯაფსა და ნამოღვანარს.

და რა გასაკვირია, რომ ეგრერიგად გვიყვარდეს ჩვენ იგი – მოზარე მშობელი ერისა, ვის ლავასავით დაუდგრომელი და ბოპოქარი გული ჩვენი ეროვნული გამოღვიძებისათვის დაუღლელად და უშურველად ძგერდა!

სწორედ ამიტომაც, გერცელ ბააზოვის სპეტაკი სახელის წინაშე მოწინებით დავხაროთ თავი, ერთხელ კიდევ გულდაგულ გავეხმიანოთ ახალი დროის ჩვენი უშუმი-რესი თემის ამ პრომეთეს და მისი არდავინეების საუკუნო დასტურად მასსავით ნამებული პაოლო იაშვილის სიტყვები წარმოვთქვათ: „ესთქვათ საყვარელი სიტყვა პოეზიის დიდებისათვის და გვეჯეროდეს, რომ პოეზია მართალია და პოეტი – ბედნიერი“.

ისრაელი



პეტრე ოცხელი. გერცელ ბააზოვის „მუწეები ალაპარკდნენ“ დეკორაციის ესკიზი. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი

ლამობდა. ყოველი შემოქმედი თავისი დროის კრიტერიუმებით უნდა განსაჯო. გერცელ ბააზოვის სიჭაბუკის წლებში კი სოციალური თანასწორობის იდეა თაობების იდეა-ფიქსი იყო... გერცელ ბააზოვს, თავის დროის ერთობ განათლებულ (როგორც საერი, ასევე რელიგიური თვალსაზრისით) ახალგაზრდას, არ შეეძლო ამ პროცესს განდგომოდა. თავისი ნიჭი, განათლება ამ იდეის სამსახურს შესწირა. ამის გამო მისი თავი დაფნის გვირგვინს უნდა დაემშვენებინა. თუმცა, ეკლის გვირგვინი დაადგეს. სწორედ ამ ეკლის გვირგვინმა გასწირა იგი მომავალში არსებობისათვის.

გურამ გათიაშვილი
წიგნიდან „სახეები და სიტუაციები“

მკითხველმა არ შეიძლება დიდი სინანული და გულისტკივილი არ იგრძნოს იმის გამო, რომ მისი ტრაგიკული დაღუპვით ქართულ ლიტერატურას უდროოდ გამოაკლდა შემოქმედი, რომელსაც კიდევ ბევრი შესანიშნავი ქმნილებით შეეძლო გაემდიდრებინა იგი.

მაგრამ ის, რისი შექმნაც მოასწრო მან თავისი ხანმოკლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად, სამუდამოდ დარჩება მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც, ერთის მხრივ, ღვიძლი ნაწილი ქართული მწერლობის მდიდარი საგანძურისა, მეორეს მხრივ კი როგორც შესანიშნავი მაგალითი ქართველი და ებრაელი ხალხების ტრადიციული მეგობრობისა და თანაცხოვრებისა.

მე დაპკარბე თითები და გაოპისხი ფრთები

ლია კრიხალი

**„მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად,
თუ არ არის კახაბერი,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად.“**

მორ საპირის გმირობა, მისაბაძად აღინიშნა ისრაელსა და მის ფარგლებს გარეთ პრესითა თუ ტელევიზიით. მე კი ნილად მხვდა ბედნიერება, გავაცნო იგი ქართულენოვან მკითხველს. წინასწარ გეტყვით, რომ სათქმელის შენიღბვას არ ვაპირებ და მძაფრი მომენტების აღწერა, მთელი სისრულით მომინევს.

მორ საპირი (სეფიაშვილი) ქ. ლოდში დაიბადა. მამა, ბატ. შალვა, საპაერო მრეწველობაში თვითმფრინავების ტექნიკური გამართვის განყოფილებაში მუშაობს. დედა, ქალ. მარინა, რეზოვოთის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების სამდივნოს უფროსია. მათ სამი ქალიშვილის შემდეგ, მართლაც მზეჭაბუკი ვაჟი შეეძინათ. ხაგით, ადას და იასმინ განსაკუთრებული სითბოთი და მზრუნველობით ეპყრობოდნენ პატარა ძმას. ოჯახის პრინციპად კი ეძახდნენ. მორი ოჯახში განებივრებული იყო, სპორტისკენ მიდრეკილებამ ნამდვილ ვაჟკაცად ჩამოაყალიბა. სკოლაში მათემატიკა უყვარდა, ვარჯიშობდა კალათბურთში. როცა მათი ოჯახი ქ. რეზოვოთში გადავიდა, ჯარში განვევამდე რეზოვოთის „მაქაბის“ ერთ-ერთი ჩინებული მოთამაშე იყო. სამომავლო გეგმების პრიორიტეტსაც, კალათბურთის მწვრთნელობა წარმოადგენდა.

მორ საპირი სამხედრო პროფილით მეომართა საინჟინრო ქვეგანაყოფს შეესაბამებოდა. ამიტომ, მიიღო რა, სიმნიფის ატესტატი, სწორედ ჯარის ამ ნაწილში მსახურობდა. ცნობისათვის: ეს ქვეგანაყოფი გზამკვლელია მომავალი ჯარისკაცებისთვის. ჯერ კიდევ დამწყები ჯარისკაცი იყო მორი, როცა ახალი პროექტის იდეა დაეებადა, რომელიც ითვალისწინებდა დანაღმული ან წინა ომებში დაზოგბილი ველების განაღმვას. მისი ხელმძღვანელობით, გუნდს უნდა აღმოეჩინა ყუმბარების ადგილმდებარეობა და უვნებლად ამოეღო იგი. მინის ყოველი გოჯი უნდა განმენდილიყო, რომ ჯარისკაცები სამხედრო ვარჯიშების დროს თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ. შემდეგ ოფიცერთა კურსები წარმატებით გაიარა და სამხედრო სამსახურში დარჩენა გადაწყვიტა, რასაც „კეკა“ ეწოდება. ჯერ მეთაურის ნოდება მიიღო, ხოლო როცა სავალდებულო ვადა მოიხადა, მთელი პოლკის მეთაურად დანიშნეს. განვლო რა, დამატებითმა დრომ, ჩვენი სპორტსმენი და სამხედრო პირი, ნეპალს გაემგზავრა სამოგზაუროდ. აქ ისრაელები ერთმანეთს ხვდებიან, ადვილად აყალიბებენ ჯგუფს — მათ ერთი ინტერესი აერთიანებთ. ამჯერად, მთგორიანი ანაპურნას დალაშქვრა იყო მათი მიზანი. გაუყვნენ გზას. ფოტოებისა და ვიდეოს გადაღებას უნდებოდნენ, რათა აღებეჭდათ ყოველი ლამაზი კადრი. ჯგუფის წევრები მთებზე ცოცვამიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მათ სიხარულსა და სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა, თითქოს ნებისმიერი შემთხვევისთვისაც კი იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ იმას, რაც იქ 2014 წლის 14 ოქტომბერს მოხდა, მხოლოდ ბედის სიმუხტლედ ეწოდება. სრულიად მოულოდნელად — ამინდის კარგი პროგნოზის მიუხედავად, დიდთოვლობა დაიწყო. უზარმაზარი ზვავი ჩამოწვა და ტურისტები მთლიანად დაფარა. თითქმის ყელამდე იყო ყოველი მათგანი ჩაფლული. იქ ისრაელების

გარდა, სხვა ქვეყნებიდანაც იყვნენ ჩამოსულნი. სხვადასხვა ქვეყნის ტურისტთაგან 43, ხოლო ისრაელებიდან ოთხი ადამიანი დაიღუპა. ამ შემზარავმა ამბავმა, ელვის სისწრაფით მოიცვა მთელი მსოფლიო. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რამდენიმე საათი არ იცოდა დაღუპულთა გვარები და ადვილი წარმოსადგენია მორის მშობლების მდგომარეობა, ვიდრე შეიტყობდნენ, რომ მათი შვილი ცოცხალია. სასიხარულო ამბავი ხანმოკლე აღმოჩნდა. ცნობილია, რომ კიდურები, განსაკუთრებით, თითები, ნაკლებად ყინვავამძლეა. დიას, მორ საპირი ხელებზე და ფეხებზე თითებმოყინული ჩამოიყვანეს ისრაელში. მას არ ახსოვს, როგორ ამოიყვანეს თოვლის საფარიდან, მაგრამ როცა გონს მოსულმა კიდურები ვერ იგრძნო, მიხვდა, რომ საქმე იმაზე სერიოზულად იყო, ვიდრე ეგონა. ხელთათმანები ქარბუქში დაუკარგავს.

ლ. კ. როგორი იყო შენი პირველი რეაქცია?
მ. ს. რა თქმა უნდა, შოკისმომგვრელი, მაგრამ გადაწყვიტე ბოლომდე მეგრძოლა. ქვედა კიდურებზე, რეაბილიტაცია კარგად მიმდინარეობდა. ეს იმედს მაძლევდა და მე კატეგორიულად ვენიანადმდეგებოდი ექიმების მოთხოვნას თითების მოკვეთაზე. ჩემი თანხმობის გარეშე, მათ ოპერაციის გაკეთების უფლება არ ჰქონდათ. თვენახევრის შემდეგ ვიგრძენი, რომ ჩემი სიჯიუტე უაზრო იყო.

ამრიგად, 24 წლის, ჯანდონით სავსე ახალგაზრდა, დარჩა ხელის თითების გარეშე. მეტი აღარა დარჩენოდა რა, შეგუებოდა რეალობას, დაეწყო ცხოვრება ხელის თითების გარეშე. მორი ჯერ ოჯახის პირობებში ვარჯიშობდა, შემდეგ ჩაება სპორტის ისეთ სახეობაში, რასაც მთამსვლელობა ეწოდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის. ასე ეწოდება, თორემ სადაა მთა. ეს გახლავთ 20 მეტრის სიმაღლის კედელი ხელოვნური დაბრკოლებებით, რაც მთის გამოკვეთილ წვეტებს წააგავს. მორი სიმწრით ებლაუჭებოდა მათ და ყოველი საინტიმეტრო მალა ასვლას, დიდ ენერგიას ანდომებდა. ხედავდა, რომ ვარჯიშობდნენ ისეთები, რომელთაც ცალ ხელზე მტევანი ჰქონდათ მოვეთილი, მაგრამ მეორე ხელი სრულიად სალი იყო. მათ ისე არ უჭირდათ, როგორც მორს. სწორედ მაშინ იმეორებდა, ჯერ კიდევ ჯარში, თავის მიერ შეთხზულ წინადადებას: „თუ გინდა ნახო ის, რაც ჯერ არ გინახავს, უნდა გააკეთო ის, რაც ჯერ არ გაგეკეთებია.“ ძალიან მომეწონა ეს გამონათქვამი და ვკითხე:

ლ. კ. კი მაგრამ, ჯარისკაცს ეს რაში გჭირდებოდა?

მ. ს. მქონდა ისეთი მძიმე წუთები, რომ ეს მშველოდა. თვითშთაგონება ხშირად მეხმარებოდა. როგორც ჯარში ვიყავი ახალი გზის გაჭრის მოთავე, ახლა გავხდები პირველი მთამსვლეელი უთითებოდ, შევპირდი საკუთარ თავს.

2016 წელს ავსტრიაში მორ საპირი მონაწილეობს შეჯიბრებაში. ეს იყო მხოლოდ მცდელობა. 2017 წელს კი, ევროპის ხუთ სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ორჯერ პირველი და ერთხელ მეორე ადგილი დაიკავა კვარცხლბეკზე. სპორტის ეს სახეობა არ ითვლება ოლიმპიური თამაშების სიაში. მორი არც ჯარის ინვალიდია და ამრიგად მისი შემოსავლის წყარო დღეისათვის ის ფსიქოლოგიური მნიშვნელობის ლექციებია, რომელსაც იგი კითხულობს სხვადასხვა უნივერსიტეტში, როგორც ჩვენ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. თემა კი: „როგორ გავუმკლავდეთ ცხოვრების მკაცრ გამოცდებს.“ თავად შეიმუშავა ლექციების ციკლი და როგორც გაირკვა, ეხმარება სულიერ, თუ ფიზიკურ შეჭირვებაში მყოფ ადამიანებს, დასძლიონ სიძნელეები.

ლ. კ. ვინ არიან შენი მსმენელები?

მ. ს. მოსწავლეები, სტუდენტები, ჯარისკაცები და სხვა. მე „მილუიმშიც“ (ჯარის სათადარიგო ნაწილი) დავდივარ ყოველ წელიწადს. ჩემს გამოცდილებას ვადა არა აქვს, იგი თავის მნიშვნელობას არ კარგავს. ჩემი ლექციები სო-



ციალური ქსელებითაც ვრცელდება.

ლ. კ. როგორია შენი მსმენელების შეფასება?

მ. ს. მინვეული ვიყავი ნიუ იორკის და ოჰაიოს შტატების, ამსტერდამისა და ვარშავის უნივერსიტეტებში. ერთ-ერთი გამოკითხვის შემდეგ ამერიკელმა სტუდენტებმა ჩემს ლექციებს უმაღლესი შეფასება მისცეს, ჩათვალეს ყველაზე მნიშვნელოვანად და წარმატებულად. მსგავსი სიამაყე დიდი ხანია არ მიგრძენია.

ოჯახისა და მეგობრების თანაგრძნობას მორი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა. მოგახსენებთ, რომ მორ საპირი ისრაელის ვინგეიტის სპორტის ინსტიტუტის სტუდენტია. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის გარდა, იგი ეუფლება მოზარდთა აღზრდის მეთოდებს.

ლ. კ. მორ, მითხორი გეთაყვა, რამ შეიძლება გაგაკვიროვოს?

იგი ერთი წუთით დაფიქრდა და მომიგო:
— მე ველოდები, იქნებ, ვინმემ ან რამემ გაგაკვიროვოს, ამიტომ არც ერთ გამოხმაურებას არ ვტოვებ უპასუხოდ.

ლ. კ. სიხარულს როგორ გამოხატავ?

მ. ს. სიხარული ტანში დამივლის ხოლმე. საერთოდ მოლუშული არავის ვუნახივარ, მომიღმარად მიცნობენ.

მართლაც, მთელი საუბრის მანძილზე, მორი სულ ილიმებოდა. მას არ ესმის იმ ადამიანების, ვისაც თავისი პრობლემების დაძლევა არ სურს, არ სჯერა საკუთარ ძალების და ჰგონია, რომ სხვას არაფერი ანუხებს.

ძვირფასო მკითხველო, მე არ ის გამკვირვებია, რომ მორი საჭეს უზის. მართვის უფლება კი ჰქონდა, მაგრამ მას მერე რაც გადახდა, იძულებული იყო ხელახლა ჩაებარებინა გამოცდა. აქაც დაამტკიცა, რომ მისთვის დაუძლეველი არაფერია.

ლ. კ. რა არის შენთვის პატრიოტიზმი?

მ. ს. თუ შენი ქვეყანა გიყვარს, უნდა გააკეთო მაქსიმუმი. ჩემგან არავინ არ მოითხოვს გავაგრძელო ჯარში სამსახური, მაგრამ მე „მილუიმში“ მაინც ვასრულებ ჩემ მოქალაქეობრივ მოვალეობას. საზღვარგარეთის შეჯიბრებებში შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, წარვადგენ ჩემს ქვეყანას, გამარჯვების შემთხვევაში, ისრაელის ჰიმნის მოსმენა სიხარულის ჟრუანტელს მგვრის.

ლ. კ. პირად ცხოვრებაზე რას მეტყვი?

მ. ს. მე არაფერი მიშლის ხელს, მევექმნა კარგი ებრაული ოჯახი, რომელიც ჩვენი საზოგადოების კიდევ ერთი ძლიერი უჯრედი იქნება.

ასეთია ვინგეიტის ინსტიტუტის სტუდენტი, ჯარის ოფიცერი, ლექტორი, პრიზიორი სპორტსმენი, ცნობილი ბლოგერი, გმირული სულის მქონე სანიმუშო მოქალაქე, 29 წლის მორ საპირი.





ავიშელაშ როზენბლათი

”ბატონო ჩემო, მომისმინე. ვერცხლის 400 შეკე-ლის მიწა, ჩემსა და შენს შორის – რაა ის? დაასა-ფლავე შენი მიცვალებული“.

რატომ ითხოვს ეფრონი სწორედ 400 ვერცხლის შეკელს აბრაჰამისაგან იმ მიწისთვის, სადაც აბრა-ჰამს სარას დასაფლავება სურს?

სარა გარდაიცვალა კირიათ არბაში (არბა — ოთხი) და იქვე იქნება 4 წყვილის საფლავიც (ად-ამი და ხავა, აბრაჰამი და სარა, იცხაკი და რიეკა, იაყაკობი და ლეა). ამიტომ მოითხოვს ეფრონი 400 ვერცხლის შეკელი.

“ჩემსა და შენს შორის – რაა ის?” – უთხრა ეფრონი აბრაჰამს. ეფრონის სახელის შუა ასოა “რეიშ”. ამ ასოს რიცხვითი მნიშვნელობაა 200. ორი “რეიშ” კი არის 400.

ეფრონი იყო ხეტელი, ხეტი კი ხამის შვილიშვი-ლის - ქანაანის ვაჟიშვილი იყო. ქანაანი ხამის მეო-თხე შვილი იყო. ასევე ვიცით, რომ ბოროტმოქმედი

რატომ მოითხოვს ეფრონი 400 შეკელი?

(რაშაყი) ყესავი იაყაკობთან შესახვედრად მიდის 400 ადამიანით. ანუ, ვხედავთ, რომ არანაირად ძა-ლები დაკავშირებული არიან ციფრთან 4, 400 — იმასთან, რასაც ითხოვს ეფრონი. ამას გარდა, მი-დრაში ამბობს, რომ ჩვენს ფარაშაში სახელი ეფრო-ნი არასრულადაა დაწერილი ასო “ვაე”-ის გარეშე. ეს იმის გამოა, რომ ეფრონი ბევრს ლაპარაკობდა და ცოტა გააკეთა (ამბობდა, რომ არაფერი უნდა და დიდი თანხა აიღო). სიტყვის “ეფრონი” ვაგის გა-რეშე რიცხვითი მნიშვნელობა ასევეა 400 (“ყაინ” — 70, “ფეი” — 80, “რეიშ” — 200, “ნუნ” — 50).

კიდევ ასეთი ახსნაა: ადამიანის საფლავი 4 ამო-თის (დაახლოებით 2 მეტრი) ფართს იკავებს. სი-ტყვა “ამოთ” შედგება ასოებისგან: “ალეფ”, “მემ”, “ვაე” და “თავ”. აბრაჰამმა კი სარას საფლავში 400 მეოთ (შეკელი) გადაიხადა. ამ სიტყვაში იგივე ასოებია, რაც სიტყვაში “ამოთ”.

400 არის ასოს “ტეტ” რიცხობრივი მნიშვნელო-ბა. “ტეტ” კი ებრაული ალფაბეტის ბოლო ასოა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სარამ სრულად შეასრუ-ლა თავისი მოვალეობა ამ სამყაროში.

ნათქვამია: “და გარდაიცვალა სარა კირიათ არ-ბაში ეს ხევრონი”. მიდრაში წერია, რომ ამ ადგ-ილს ოთხი სახელწოდება ჰქონდა: ეშკოლი, მამრე, არბა, ხევრონი. კლი იაკარი წერს, რომ ადამიანს სიკვდილის გამომწვევი ოთხი შესაძლებლობა აქვს:

1. ცოდვა — ადამიანი კვდება ცოდვების გამო და ამაზე მიანიშნებს სიტყვა “მამრე”, რაც ითარგმ-ნება, როგორც “დაუმორჩილებელი”.

2. ადამიანი კვდება წინაპართა ცოდვების გამო. ამის მიმანიშნებელია სიტყვა “ეშკოლ”, რომლის

ლოვნების მოღვაწე“ გამარჯვებულად გცნესო.

ინფორმაცია სასიამოვნოა და მადლობის ნიშ-ნად თავს მდებარე ვუხრი ყველა იმ პიროვნებას, ვინც ასეთი პატივი დამდო.

სხვა ნომინაციებში ღირსეული ქართველი ებრაელები გახლავთ წარმოდგენი-ლი. ამ გარემოცვაში ყოფნა სასია-მოვნოა, რომ არა ერთი უმძიმესი შემთხვევა: ნომინაციაში „საზოგა-დო მოღვაწე“ გამარჯვებულად წარმოჩენილია ჯ. ხუხაშვილი. ამან კი მყის დამაეჭვა იმ ადამიანთა კომპეტენტურობაში, რომლებმაც ასეთი პატივი დამდეს.

მექმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანებმა, რომლებმაც ჯ.ხუხაშვილი საზოგადო მოღ-ვანედ გამოგვიცხადეს, არ იცნან, თუ რა არის საზოგადო მოღვაწეო-ბა — წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ ვინ შეიძლება მიჩნეულ იქნას საზოგადო მოღვაწედ, ერთმანეთში ურევენ საზოგადო მოღვაწეობასა და „საქმის გაიმასქნებას“, კვაჭი კვაჭანტირაძეობას (მიხ. ჯავახიშ-ვილი), ანუ, როგორც დღეს ხალხში ამბობენ, „საქმის გაჩალიჩებას“, „ჩალიჩმანისტრობას“.

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამოაცხადო ადამი-ანი, რომელიც ებრაულ თემს ხელს უშლიდა დაებრუნებინა ბოლშე-ვიკების მიერ ჩამორთმეული სინა-გოგა პირველი მაისის ქუჩაზე,

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამოაცხადო ადამიანი, რომელმაც ებრაული კაცის წი-ნაღმდეგ ათობით ქართველი, თუ ებრაელი აამხედრა,

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამოაცხადო ადამიანი, რომელმაც ბევრი სიბინძურე იკადრა იმისათვის, რომ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრე-სის თანათავმჯდომარის სკამზე წამოსკუპებუ-ლიყო,

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გა-მოაცხადო ადამიანი, რომელმაც რამდენიმე გზის მიჩვილა ისრაელისა, თუ საქართველოს სა-სამართლოებში ბათიაშვილმა ნარკოდილერობა დამწამა და ბოდიში მომიხადოსო, სხვებსაც აჩივ-ლებიწა. არცერთი საჩივარი არ დაუკმაყოფილეს, მაგრამ მაინც არ ისვენებს — ახლა ფარულად (ამაზრუნენად!) ცდილობს, ჩაერიოს ჩემს შემოქ-მედებით, თუ პირად ცხოვრებაში.

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამო-

ასოები შეადგენენ სიტყვას “შიკულ” — ახლო-ბლების დაკარგვა, გარდაცვალება.

3. შესაძლოა სიკვდილი მოვიდეს იმ ოთხი საფუძვლის დაკარგვით, რისგანაც ყველა ქმ-ნილება შედგება: ფერფლი, წყალი, სული და ცე-ცხლი და ეს იქნება ბუნებრივი სიკვდილი. თავად ადამიანს კი არა აქვს ცოდვები. ადამიანი “პატარა სამყაროდ” იწოდება და მანამ ეს ოთხი საფუძველი მასში ჰარმონიულადაა შერწყმული, ის ცოცხალია. ხოლო, როდესაც ამ საფუძველთა მოშლა იწყება, სიცოცხლე წყდება. ამის მინიშნება არის სიტყვა-ში “კირიათ არბა”, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს “ოთხთა დასახლება”.

4. და, არსებობს სიკვდილი კოცნით. მინიშნებაა სიტყვა “ხევრონი” სიტყვიდან “ხიბურ” — შეერთება. ანუ, აქაა გამ-თან შეკავშირება. სიკვდილი კოც-ნით ჰგავს კოცნას, რომელსაც ადამიანი ვერ შეი-გრძნობს საკუთარი სინამდის გამო. მისთვის ეს მხოლოდ სხვა მდგომარეობაში გადასვლაა, პი-ჯაკის გახდას ჰგავს. სარა ამ სამყაროდან კოცნით სიკვდილით წავიდა, რადგანაც სიმრთელეს სი-ცოცხლეშივე მიაღწია და მისი მთელი სხეული, ანუ ოთხივე საფუძველი მასში გასუფთავდა. ამაზეც გვამცნობს სიტყვა “ხევრონი” — “შეკავშირება”, ანუ სარაში ყველა საფუძველი სწორად იყო შეკა-ვშირებული.

სარა ებრაელი ხალხის დედა მთავარია. ხოლო “გაპოზილ ნაწილებს შორის კავშირში” ჰაშემმა აბრაჰამს უთხრა, რომ მისი შთამომავალნი 400 წლის მანძილზე იქნებიან მონობაში და შემდეგ და-ბრუნდებიან.

აცხადო ადამიანი, რომელიც თავისი გუნდით მიდ-ის თეატრში და დირექციას უცხადებს, თუ ბათიაშ-ვილის პიესის დადგმას არ შეწყვეტთ, პრემიერაზე აყალმაყალს ავტეხთ და ჩაგიშლითო,

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამო-აცხადო ადამიანი, რომელიც მწერალ კაცს ფიზი-კური ანგარიშსწორებით, დაპატიმრებით, დიდი ფულადი ჯარიმით მემუქრებოდა,

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გა-მოაცხადო ადამიანი, რომელიც ჯერ ისრაელის მოღალატედ, შემდეგ საქართველოს მტრად მაცხადებდა,

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამო-აცხადო ადამიანი, რომელიც ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველდ შექმნილ საინიციატივო ჯგუფს საქართველოს თეატრალური საზოგადოებაში წერილს წერილზე აგზავნიდა, გურამ ბა-თიაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მთ.რედაქტორობიდან მოხსენითო. ნამდვილ მოღვაწეებთან, ჭეშმარიტ შემოქმედებთან — გიგა ლორთქიფანიძესა და გოგი ქავთარაძესთან არაფერი გამოუვიდა, აი, ისე რა მოღვაწესა და ისე რა შემოქმედთან კი...

დიდი შეცდომაა საზოგადო მოღვაწედ გამო-აცხადო ადამიანი, რომელიც...

არ არის საკმარისი? შემოიღია სხვა მაგალითე-ბიც მოვიყვანო, იმის დასტურად, რომ ადამიანებ-მა, რომლებმაც ხუხაშვილი საზოგადო მოღვაწედ გამოგვიცხადეს, არ იცნან, ამ წოდების არსი, ან კარგად იცნან, მაგრამ საქმეთა გამჩალიჩებელის-აგან იმდენად გახლავან დავალებულნი, ასეთ „პატარა თხოვნასა, თუ დავალებაზე“ უარი ვერ უთხრეს.

მივმართავ **GJews: с грузинским акцентом**-ს: არა-რა სურვილი არა მაქვს, ჩემი გვარი საქმეთა გამჩალიჩებლის გვერდით იხსენიებოდეს — მის სიახლოვეს იყოს. ამიტომ გთხოვთ ჩემი გვარი მაგ სიიდან ამოიღოთ. მე კვლავაც იმ — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — წოდებ-ით ვიამაყებ, რომელიც წლების წინათ საქართვე-ლომ მომანიჭა.

პატივისცემით: გურამ ბათიაშვილი
30 ოქტომბერი, 2019წ.

P.S. ფეისბუქში ამ ტექსტის გავრცელების შემ-დეგ მაუწყეს, რომ **GJews: с грузинским акцентом** მართლაც, ქართველ ებრაელთა ორგანიზაციაა. კიდევ ერთხელ მოვახსენებ მადლობას ამ ორგა-ნიზაციის მეთაურებს და დაბეჯითებით ვთხოვ: არა-რა სურვილი არ მაქვს, ჩემი გვარი ოდიოზური პირის გვერდით იხსენიებოდეს.

ხოლო კითხვა ქართველ ებრაელთა ორგა-ნიზაცია რუსულ ენაზე რატომ წარმართავს მუშ-აობას, კვლავ კითხვად რჩება.

18 ნოემბერი, 2019წ.

თხოვა, მოთხოვნაც კი

GJews: с грузинским акцентом

4 ч. •

Новые результаты выборов 🇵🇸 !

Последние несколько недель вы, наши читатели, выбирали кандидатов среди самых выдающихся грузинских евреев. У нас есть результаты! ✓

В нашей общине множество выдающихся людей которые вложили неотъемлемый вклад в настоящее и в будущее нашего народа, но выбор был только за вами. !

Итак, победители в каждой категории: 🏆

1. Наука - Реваз Сепиашвили 📖
2. Врач - Мераб Израэлашвили (Мераб Сарель) 🩺
3. Общественный деятель - Джамлет Хухашвили 🗣️
4. Раввин - Яков Гагулашвили 🕎
5. Музыкант - Тamar Гвердцители 🎵
6. Деятель искусства - Гурам Батиашвили 🎨
7. Спортсмен - Гоча Цициашвили 🏆
8. Бизнесмен - Давид Якобашвили 🏢

მეგონა, ქართველ ებრაელთა ორგანიზაცია გახლდათ, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ტექსტი რუსულ ენაზე შედგენილი, ეს მოსაზრება უკუ-მაგდებინა: ქართველ ებრაელთა ორგანიზაცია განცხადებას რუსულ ენაზე რატომ გამოაქვეყნებ-და. ასეა, თუ ისე, ამ ბარათს ვწერ ორგანიზაციას, რომელსაც ჰქვია:


GJews: с грузинским акцентом

ამ დღეებში ისრაელიდან პროფესორ მოშე დან-იელის ბარათი მივიღე. მილოცავდა, გამარჯვე-ბულთა შორის გამოგაცხადესო. არაფერი შემი-ტყვია და იქნებ, გამაგებინო, რას მილოცავ-მეთქი, მივწერე. გამოკითხვის შედეგად ნომინაციაში „ხე-

ახალი წიგნები

„რას გაგენდობა უფალი შენი“

„ჩვენმა მწერლობამ“ გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მეთაურის, ცნობილი ქართველი მწერლის, ქართულ რეალობაში ბიოგრაფიული რომანის ჟანრის დამამკვიდრებლის — როსტომ ჩხეიძის წიგნი „რას გაგენდობა უფალი შენი“ — მსხემობა ჯემალ აჯიაშვილისა“.



ამ მომცრო წიგნში მწერალი დაწვრილებით განიხილავს ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებას. ავტორის სანაქებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი არა მხოლოდ კარგად იცნობს და მკითხველს აცნობს მწერლის შემოქმედებით ცხოვრებას, რაც ბუნებრივიცაა — ეს შემოქმედება მეტწილად მის თვალწინ იბადებოდა, სიღრმისეულად წარმოგვიდგენს მას, გვაცნობს მთარგმნელის დიდ მიღწევებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოვრებისეულ, ყოფით დეტალებსაც — მისი ხასიათის თავისებურებებს.

წიგნს ერთვის ასევე ცნობილი კრიტიკოსის მერაბ ლალანიძის ჩინებული ბოლოსიტყვაობა, საიდანაც გთავაზობთ ამონარიდს:

„როსტომ ჩხეიძის წიგნი განიხილავს ჯემალ აჯიაშვილის მოულოდნელად შეწყვეტილ ცხოვრებასაც და მის დანატოვარსაც: პოეზიას, თარგმანებს, ესეისტიკას და კიდევ, ავტორი გულწრფელად ახერხებს, პოეტის ვინაობაც და მისი რაობაც, ისე წარმოგვიდგინოს, რომ

არც სიყვარული დააკლოს გარდაცვლილ მეგობარს და თანაც ეს წარდგენა მიუკერძოებლად, მართლად შეუფარავ-შეუღამაზებლად გამოიხატოს, ანუ იმგვარად, როგორც წიგნის შემქმნელს სწორად, მართებულად და აუცილებლად მიაჩნია, თუნდაც მონათხრობ-ნამსჯელი ზოგჯერ გულისშემკუშელი, ან გულისდამწყვეტი იყოს, - უწინარესად პოეტის მრავალნიანი მკითხველისა, თუ თავყვანისმცემლისათვის“.

ორი ნაშრომი ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე

გამომცემლობამ „მწიგნობარი“ გამოსცა მოშე — ხაიმ (თემურ) მდინარაძის ორი სქელტანიანი ნაშრომი: „რუსთაველიდან სოლომონამდე-თორამდე, ანუ მარადუამამდე“ და „ვეფხისტყაოსანი“ — გზა თორისა შემოქმედამდე, მარადიულ ნეტარებამდე“.

წიგნების ქვესათაურებიდანაც ჩანს, თუ რაოდენ რთულ საკითხებს შესჭიდებია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ მდინარაძე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ქვესათაურებზე თვალის ერთი გადავლება: „რატომ შექმნა უფალმა ადამიანი და რა მიზანია ამაში ჩადებული“, „ქმნადობის არსი — უფლით წარმოებული ადამიანთა სრულყოფილება — მარადისობისათვის“, „როგორ განიცდის უფალი ჩვენს სულიერ დაცემას“, „სად ვართ,


რა მოგველის და გზა მარადიული ჭეშმარიტებისაკენ“ და ა.შ.

წიგნის შესავალ წერილში პროფესორი ზურაბ ძონენიძე წერს: „ავტორს ღრმა განათლება საშუალებას აძლევს გააკეთოს ძალიან საინტერესო მიგნებები ქართული და ებრაული ურთიერთობების ისტორიული და სულიერი გენეტიკური კავშირების მიზეზებზე და საფუძვლებზე. იგი საინტერესო ანალიზს უკეთებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და თავისი მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტებს პოულობს იქ. იგი ცდილობს შეათანხმოს თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენები თორის საუკუნეების წინ გადმოცემულ ღვთიურ სიბრძნესთან და წინასწარმეტყველებებთან, ახსნას თორის თვალთახედვით მეცნიერების ფუნდამენტური ღირებულებები, ნაწილობრივ რეაბილიტაცია გაუკეთოს სიცოცხლის წარმოშობის არცთუ მთლად დადასტურებულ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელ თეორიას“.



კოტე ლერნერი მთარგმნელიც აღმოჩნდა

ჩვენი გაზეთის მკითხველი, ვერ ვიტყვით რომ ყველა და სრულად, დიდი ნაწილი კი იცნობს იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორის — კონსტანტინე (კოტე) ლერნერის მეცნიერულ მოღვაწეობას — მისი კვლევები საქართველოს ებრაელობაზე დიდ პროფესიულ ნდობას იმსახურებს, ხოლო საყოველთაოდ ცნობილი წიგნა „Еврей в Грузии“ ძალიან დიდი ინტერტერესით იკიხება. ეს წიგნი ამ ათი წლის წინათ გამოვიდა და საქართველოს ებრაელობაზე მრავალ საყურადღებო ცნობას გვანდის.



ახლაჩან კი კოტე ლერნერი მთარგმნელის ამპლუაში მოგვევლინა — გამოიცა მის მიერ ქართულიდან თარგმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრის, პოეტ გურია კვარაცხელიას ჩინებული ლირიკული ლექსების კრებული — „Солнечные блики“ (გამომცემლობა „ნეკერი“).

გარდა იმისა, რომ გურია კვარაცხელია ერთობ საყურადღებო მეცნიერია, ქართველი მკითხველი იცნობს მისი ჩინებული პოეზიის ნიმუშებს. კოტე ლერნერმა კი კარგად შესძლო რუსულენოვან მკითხველამდე მიეტანა გურია კვარაცხელიას პოეტური თავისებურებანი.

ქართველ ებრაელ ექიმთა მეტრი

(გამოსათხოვარი)



მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი მწუხარებით მიიღო ცნობა ქართველ ებრაელთა რჩეული პიროვნების, სამედიცინო ინტელიგენციის საამაყო წარმომადგენლის, მსოფლიოში ცნობილი ონკოდერმატოლოგის, სამედიცინო სამსახურის გონიერი ორგანიზატორის და ბიზნესმენის — პროფესორ **შალვა მარდის (მარდახ-იაშვილის)** გარდაცვალების შესახებ.

ქართველ ებრაელთა თემს, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სამედიცინო მოღვაწეობის დარგში ჰყავდა ლიდერი, პიროვნება, რომელიც გზას უკვალავდა, გეზს აძლევდა მომდევნოთ, თავის თავზე იღებდა პირველ დაბრკოლებებს, სირთულეთ. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ბატონი შალვა, ქართველ ებრაელ ექიმთა პროფესიული მოღვაწეობის ძნელად სავალ გზაზე, მისი სახელი მუდამ იქნება დაკავშირებული სიტყვასთან **პირველი**.

პროფ. შალვა მარდის სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა, საპატიო წოდებები და ჯილდოები ონკოდერმატოლოგიის, როგორც მორფოლოგიური და კლინიკური მედიცინის დარგის, განვითარებაში შეტანილ ფასდაუდებელ წვლილზე მეტყველებს. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, ისრაელის და ევროპის რიგი ქვეყნების მორფოლოგიური

დანესებულებების წარმატებული მუშაობა, რომელთა უშუალო ხელმძღვანელი, ან სამეცნიერო კონსულტანტი ბ-ნი შალვა გახლდათ. დღეს მე არ მეგულება ნორმალური დერმატოლოგიური დანესებულება, რომელიც არ იცნობს პროფესორ შალვა მარდის სკოლის მონაპოვარს — სამეცნიერო შრომებს, მეთოდურ დამუშავებებს, პაციენტებს, სამკურნალო სიტხეებსა და მალამოებს.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, ამ დღეებში ჩვენ ამგვარ ადამიანს გამოვეთხოვეთ — მისი მაგალითით შეიძლება საკუთარი სულის ბგერის შეგრძნება, ზნე-ჩვეულებათა განმტკიცება. ბრძნული გამოთქმა „ნეტავი იმას, ვინც არა მხოლოდ ჩვენთან ყოფნით გვწრთნის, სახელის ხსენებითაც“. იგი გახლდათ მაგალითი შეხინით მოსილი კაცისა, რომლის სახელის ხსენებაც კი გვნვრთნიდა. იმ ადამიანთა გულებში, ვინც მას იცნობდა, შალვა მარდის სახელის ხსენება იმედის ნაპერწკალს აღვივებდა, სიბოზს ამკვიდრებდა.

გვწაღია თანადგომის სიტყვები მივანვდინოთ მისი ცხოვრების განუყრელ მეგობარს, ასევე მეცნიერსა და მოღვაწეს ქ-ნ როზმარისა და მათს შვილებს: ქ-ნ ლაურასა და ბ-ნ ჯიმშერს. სწორედ ქ-ნ როზმარის დიდმა სიყვარულმა მეუღლისა და შვილებისადმი, მათზე, ზუნვამ განაპირობა ოჯახური კეთილდღეობა და დიდად მეუწყო ხელი მეუღლის წარმატებებს, წინსვლას.

დასასრულს: ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ. ამ მოცემულობის შეცვლა არავის ძალუძს. თუმცა, ზოგიერთ ადამიანს საკუთარი სახელის უკუდავყოფა არსებობის განმავლობაში კეთილ საქმეთა ქმნით ხელეწიფება. ამის ნათელი მაგალითია პროფესორ შალვა მარდის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მსოფლიოს ქართველ ექიმთა საერთაშორისო კომისიის სახელით —
პროფესორი მარაბ სარელი

თამარ მამისთვალოვი



ისრაელში ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა ჟურნალისტი, მთარგმნელი **თამარ მამისთვალოვი-კახაიასვილისა**. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ისრაელის რადიოს ქართულ რედაქციაში, ივრითიდან თარგმნა არაერთი მხატვრული ნაწარმოები, ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშები და რაც ერთობ მნიშვნელოვანია, გახლავთ მოსეს ხუთნიგნეულის ერთ-ერთი მთარგმნელი.

თ. მამისთვალოვი „მენორას“ არსებობის პირველ წლებში გვევლინებოდა ამ გაზეთის ავტორად, ქომაგად და შემწედ.

დამფუძნებელი და

გამომცემელი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11^ბ,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57



რამბისტარიკაპულია

ძ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიმარ.

რამბისტარაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070

411.16
8-557

9771987898003